

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტზე

წარმოდგენილი პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციისა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაციით, რომელმაც შედეგადაც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ზოგიერთ უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

პროექტის შესაბამისად საქართველოს პოლიცია წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელ სამართალდამცემ-სპეციალურ, პოლიციურ და სამხედრო დაწესებულებათა სისტემას. მოქმედ კანონი შეიცავდა მითითებას იმ სახელმწიფო დაწესებულებებზე, რომელი გარდა აკრძალულია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირებების შექმნა კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საქართველო-თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო პოლიციის საქმიანობაზე.

პროექტის თანახმად ახალი რედაქციით ყალიბდება პოლიციის უფლება მოვალეობანი. კერძოდ, მოქმედი კანონიდან ხდება ზედმეტი უფლებამოსილებები ამოღება და კანონმდებლობის შესაბამისად პოლიციისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობების დამატება. გარდა ამისა პოლიციის უფლება-მოვალეობანი შესაბამისობაში მოდის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ ცვლილებებთან.

უფრო მოქნილი და არაბუნდოვანი ხდება პოლიციაში თანამშრომელთა მიღების და გათავისუფლების საფუძვლები, მათი წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები.

პროექტის შესაბამისად იცვლება პოლიციის თანამშრომელთა არსებულ სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც ვერ პასუხობდნენ როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ასევე თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს.

პროექტი მომზადებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

პროექტის მიღება დამატებით საბიუჯეტო სახსრებს არ საჭიროებს.